შინაური საქმეები

ყოველკვირეული გაზეთი.

№. 22.

კვირა, სექტემბერი 13, 1909 წ.

ფასი წლიურად — — 4 მან.

„ ნახევარი წლით — — $2^1/_2$ მან.

ცალკე ნომერი ღირს 10 კაპეიკათ.

ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

შინაარსი: წყლის გამოყვანის საქმე; გაზ. „ვარსკვლავი“ და ფრანგული კულტურა; სიტყვა—დეკ. ყუბანეიშვილისა; სიტყვა მღვდ. ს. მჭედლიძისა; კონსტანტინე პეტრეს ძე პობედონოსცევი და სპირიტიზმი—მღვდ. ვ. დუმბაძისა; იროდიადა (თარგმანი ფრანგულიდან)—მაქსიმიძისა; იმერეთის საეპარქიო სამოსწავლო საბჭო—მიროყელისა; კვირიდამ კვირობამდე; სასუფეველი ღვთისა—ე. ჩ.—ძესი;

სტამბა

იმერეთის ფმ. გიორგის სარწმუნოებრივ განმანათ.

„ამბისა“

გაიხსნა ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩაზე, გ. კირიშჩევის სახლში, გუბერნატორის კანცელარიის ქვეშ,

ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს

ხელმისაწდომ ფასებში.

ასრულებს სუფთად და თავის დროზე.

ყოველკვირეულ გაზეთ

„შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო — კაზაკოვის — შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით $2^1/_2$ მან. ცალკე ნომერი ღირს 10 კაპ. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

დარჩენილი ნომრები ახალ ხელის მომწერლებს დაეთმობა 1 მან. და 50 კაპ.

წყლის გამოყვანის საქმე ქუთაისში.

ქალაქის საბჭოს არ სძინავს. ის გაფაციცებით მუშაობს წყლის გამოყვანის თაობაზე. ამას წინათ კრებაზე ერთმა ორატორთაგანმა წარმოსთქვა, ოცდა ხუთი წელიწადია, რაც წყლის გამოყვანას ვფიქრობთ და ამაზე ვმუშაობთო. რა თქმა უნდა ამდენი ხნის მუშაობა დაღალავდა ქალაქის ბედიღბლის გამგეებს და რა გასაკვირვალი უნდა იყოს, რომ დაღალულმა საბჭომ კიდევ ოცდა ხუთ [illegible]

ბაში ვერ გააკეთოს საქმე. თუ ასე არ იყოს, აბა რას ნიშნავს ასეთ დიად საქმეში ასეთი წარილმანის გამოკიდება, როგორც ხუთი წლით მეტი თუ ნაკლები კონცესია? განა საფიქრებელია, რა იქნება ოცდა ათი წლის შემდეგ, როცა დღეს წყურულით იხოცება იმოცდა ათი ათასი მცხოვრები, როცა ჯიუტ მებოქეზე ჰკიდია ჩვენი წყალით დაკმაყოფილება? და ისიც ეხლა, ამ მდგომარეობაში, როცა ერთი მებოქე რომ გაგიჯიუტდეს, მეორე ზედაც არ შემოგხედავს. სასაცილოა მომავალზე ზრუნვა, მაშინ როდესაც, შესაძლებელია, მომავალმა არც კი იკადროს თქვენი არხებით სარგებლობა და თვით იალბუზიდგან მოიყვანოს ყინულიანი წყალი ან კიდევ არტეზის ჭები ამოიჩუხჩუხოს ყოველ ფეხის გადადგმაზე. როცა ასე შორ მომავალზე ფიქრობენ ჩვენი მამები, უთუოდ ჰგონიათ, რომ კაცობრიობა გაიყინება დღევანდელ მდგომარეობაზე და მიტომ საჭიროა მათი ოპეკუნობაო. დავარწმუნებთ ბ.ბ. ხმოსნებს, მომავალთაობას ოცდა ათი წლის შემდეგ ჩვენი აპეკა არ დასჭირდება და ტყუილა ურწყულს ნუ გვახრჩობენ. ვსთხოვთ, რაც, შეიძლება მალე შეუკრან კონტრაქტი, ი ვიღაც ღვთის კაცი გამოჩენილა. ნურც სამი ვერსის მანძილიდგან წყლის გამოყვანაზე ეტყვიან უარს. ეხლა ხომ სულ არაფერი მანძილიდგან არ გვაქვს გამოყვანილი წყალი და იქიდგან ვხარჯობთ, სადაც ყოველ გვარი უსუფთაობა იყრება. ეს იმას ჰგავს ყვავს რომ თვალი არ ჰქონდა და ღმერთს წამწამს სთხოვდა, მართალია ქალაქი შენდება, ძეგრამ არც ისე სწრაფად შენდება, რომ ოცდა ათი წლის განმავლობაში სამი ვერსის მანძილზე გაიწიოს ქალაქის ხაზ გარეთ ბომისკენ და თუ გაიწევს, მერმე შეიძლება იმის ფიქრი, თუ რა მანძილზე აიწიოს წყლის არხი. არც თუ წყლის სიძვირეზე ითქმის რამე. ნუთუ იმაზე ძვირი კიდევ იქნება რამე, ეხლა რომ ათ ვედრიან ბოქაში 15—20 კ. ვიხდით და დაწმენდის შემდეგ მხოლოდ ნახევარიდა გვრჩება წმინდა წყალი? ჩვენ გვეუბნებიან მოკანტრახტენი კაბეიკათ ოთხ ვედრა წყალს მოგვაცემენო და აქ ეხლა კი ვედრა 3—4 კაპეიკი გვიჯდება. და განამხოლოდ ეს იქნება მოგება? ეხლა სისუფთავეს და წმინდა ქუთათურ ღამის ჰაერით სარგებლობას არაფრად აგდებთ ბატონებო? დღეს ღამის ათი საათიდგან დაწყებული ამ პაპანება სიცხეში ლია ფანჯარასთან ვერ დავმჯდარვართ იმ სიმყრალის გამო, რომელიც მოდებულია ქუჩებში და ეზოებში. მალე, რაც შეიძლება მალე წყალი დღევანდელი აუცილებელი საჭიროების დასაკმაყოფილებლად და „ხვალემან თავისა თვისისათვის იზრუნოს“!

წმ. გიორგის სარწმუნოებრივ-განმანათლებელ ძმობის ნამდვილ წევრებათ ჩაეწერენ და ფულიც შემოიტანეს:

არქიმანდრიტი ნიკიფორე . .	3 მ.
მღვდელმონაზონი ილარიონი. .	3 —
მორჩილი მალაქია დვალი . .	3 —
— პავლე ჯაფარიძე . .	3 —

ძმობის დამხმარე წევრებათ ჩაეწერენ და ფულიც წარმოადგინეს:

იღუმენი სოფრონი . . .	50 კ.
მღვდელმონ. მატთე. . . .	50 —
— დოროთე . . .	50 —
— ეპიფანე . . .	50 —
— სილოვანე . . .	50 —
— დოდო	50 —

ძმობის სასარგებლოდ შემოვიდა შემოწირულება:

იღუმენი ანთიმოზისაგან .	50 კ.
მდვდელ მონაზონი ზენონისაგან .	40 —
იეროდიაკონი იოსებისაგან . .	25 —
— იოსტოსაგან. . .	25 —
	17 მ 40 კ.

ბაზ. „ვარსკვლავი“ და ფრანგული კულტურა.

დღეს ქუთაისი არა ჩვეულებრივ ხანას განიცდის. აქ გამოვიდა ორი სალიტერატურო და საპოლიტიკო გაზეთი „ვარსკვლავი“ და „ფონი“ (ჩვენ გაზეთს არ ვიხსენიებთ, ან რა მოსახსენებელია ხუცების გაზეთი?) „ვარსკვლავი“ უფრო მხცოვანია, „ფონზე“, ამი-

ტომ მას უფრო ვიცნობთ და შეგვიძლია მისი მიმართულება აღვნიშნოთ. გაზეთი თითონ ხატავს თავის მიმართულებას და ამბობს, ხალხის კულტურულ განვითარებას უნდა შევუწყოთ ხელი. ანუ მისივე სიტყვებით: „ჩვენ ვეცდებით, ამბობს გაზეთი, შეძლებისა და გვარად ხელი შევუწყოთ ხალხის არსებითს საჭიროებას: ნივთიერი და კულტურული მდგომარეობის გაუნჯობესობას“, მართლა რომ კარგი სიტყვებია! თქვენი პირით ბ. „ვარსკვლავო“ სწორეთ რომ „კანფეტები“ იქმევა, მაგრამ ქურდისა და მამლის კუდისა არ იყოს, ფიცი გვწამს, მაგრამ ბოლო კი გვაკვირვებს! სად კულტურა და სად „ისოსთან“ კინკლავი და როგორი კინკლავი? როგორსაც კულტურული გაზეთი არ იკადრებს. და ასეთ უმნიშვნელო კინკლავს უკავია მთელი ორი წილი გაზეთისა! მაგრამ ამას თავი დავანებოთ. იმედია, ასეთი კინკლავი უკანასკნელია და ამით „ვარსკვლავი“ კვლავ აღარ შეგვაწყენს თავს. ხოლო საკითხი იმაში მდგომარეობს, თუ რა ფასონის კულტურის შემოტანას და ხელის შეწყობას ლამობს „ვარსკვლავი“? რა თქმა უნდა ფრანგული ფასონის კულტურას ებღაუჭება და ის უნდა გადმონერგოს საქართველოს ნიადაგზე. ამ ნაირად მან პირველივე შეტევით უარ ჰყო არსებული წესი ქორწინებისა და ყველაფერი უბედურება მას დაატეხა თავზე; მერე რატომ? მიტომ რომ ვიღაც გურულს ქალი გაქცევია და ნომერში უპოვნიათ. კაი საბუთია ქორწინების უარყოფისა. ნეტა იგივე ქალი არ გაექცეოდა ქმარს, ნოტარიუსის წესით რომ შეუღლებოდა? შემდეგ ამისა გაზეთი ზიზღს უცხადებს ამ ქალის ბიძას, ორმოცი წლის ალფესს, რომელსაც თურმე მისი (ქალის) მოტყუებით გაუპატიურება სდომებია. ასეთი ზიზღის გამოცხადება გაუგებარია იმ ორგანოსაგან, რომელსაც ფრანგული კულტურა უნდა გადმონერგოს საქართველოს ნიადაგზე. ეს უფრო ფრანგულ ქართული კულტურის აღრევა არის ერთმანეთში, თორემ გაზეთმა კარგად იცის, რომ ფრანგული კულტურის შეხედულობით აქ არაფერი საზიზღარი არა არის რა თავისუფალი შეუღლების მეტი, თუნდაც ერთი წუთით. თუ ნათესაობა აქვს სახეში „ვარსკვლავს“, ფრანგული კანონით ესეც ვერაფერ დიდ საბუთს იძლევა ზიზღის გამოსაცხადებლად. თუ მხოლოდ ორმოც წლოვან ადამიანს უწუნებს საქციელს, რა დააშავა ორმოცმა წელმა და რით ამართლებს ოცწლოვანს? განა უკანასკნელს უფრო მიეტევება, ვიდრე პირველს? არა ბ. „ვარსკვლავო“ გვიანლაა ზიზღის გამოცხადება... და არც შვენის ფრანგულ კულტურის მქადაგებელს—ასეთი საქციელი. იყავი ბარემ „პირდაპირი, ვით შურდული“, რა საჭიროა მიხვევ მოხვევა და კურდღლური ნახტომი. ან ფრანგული ქორწინება, რომელმაც არ იცის არც ნათესაობა, არც ხნეობა და არც გაუპატიურება; რომელი კანონები სდევნიან მხოლოდ ძალმომრეობას და არა მოტყუებას და შეცდენას; ან ქართველური ზიზღი ყველას, ვინც სარგებლობს ქალის სისუსტით. როგორც ბატონი, ისეთი ხუმარა: „ვარსკვლავი“ ფრანგულ კულტურას სთესს, მისი ოხუნჯიც მასვე აპირებს კანტ-ლაპლასის თეორიას უმაღლეს ჭეშმარიტებად რაცხს და ჩვენ გვიკიჟინებს მის წინააღმდეგობას. მდაბლათ მოგახსენებთ ბ. ოხუნჯო, რომ კანტ-ლაპლასის თეორია კანტსაც და ლაპლასსაც თეორიად, ჰიპოტეტიურ თეორიად მიაჩნდათ და არა ჭეშმარიტებად, არა აქსიომად, რომლის მსგავსი თეორიები ათასობით დამარხულა ჟამთა წყვდიადში და თქვენ საიდგან იცავთ და რა ნება გაქვთ ჭეშმარიტებად მიაჩეჩოთ იგი გულუბრყვილო მკითხველ საზოგადოებას? ან რა კულტურა გნებავთ შეიტანოთ ამით ჩვენ მშრომელ ხალხში, რომლის გამოქომაგებას „ვარსკვლავი“ ასე რიხით აპირებს, ვითომ და სხვა გაზეთები მის (ხალხის) დაბნელებას ლამობენ. სერიოზულ კითხვებზე კი არ ხუმრობენ, არამედ მსჯელობენ, ბაასობენ და თუ თქვენ მაინც და მაინც კანტ-ლაპლასის თეორიამ გაგიტაცათ, ბ. ხუმარავ, ა ბურთი და ა მოედანი: შეგვიდგინეთ ერთი პოპულიარული, ყველასათვის გასაგები წიგნაკი ამ თეორიის შესახებ და დაგვარწმუნეთ, რომ დედამიწა მზის შვილია და მთვარე მისი შვილი-

შვილი, ან ხვა ნაირად, დედამიწა მზის ნა
გლეჯია და მთვარე მიწის.—თორემ ასეთი
სერიოზული საგანი რომ სახუმაროდ არ გა-
ხადო, უნჯობესი არ არის, ისევ ქალებს დაუ-
ტრიალდე. იმ ქალებს, რომლებიც ემანსიპა-
ციაზე ფიქრობენ და ისეთ შეურაცხებას ით-
მენენ, როგორიც არის თქვენი სახუმარო გა-
ზეთი და ქუთათური პარნოგრაფიული სურა-
თები? ამ მხრით ჩვენმა კულტურამ სწორეთ
რომ გადააჭარბა ფრანგულს! ვაშა ჩვენს გმი-
რობას!..

სიტყვა.

თქმული დეკანოზის ნესტორ ყუბანეი-შვილის მიერ მისგანვე აღშენებულ (მისი მეუღლის საფლავზე) წმ. პირველ მოწამის თეკლას ეკლესიის კურთხევაზე, 12 აპრილს 1909 წ.

სახელითა მამისითა და ძისითა და სულისა წმიდისითა.

„არა თუმცა უფალმა აღაშენა სახლი, ცუდად შვრებიან მაშენებელნი მისნი.
(ფსალ. 126,1).

მადლობას ვსწირავ ღმერთს, რომ მან ჩამაგონა აზრი—აღვეშენებია ამ სასაფლაოზე ეკლესია, მომცა მ ნ გ ბედულება დამეწყო ეს საქმე, მომანიჭა შეძლება შემესრულებია იგი. ვმადლობ ღმერთს, რომ მისი მადლით და შემწეობით აღვასრულე ეს საქმე და დღეს დავესწარით ამ ეკლესიის კურთხევას. ჭეშმარიტად უფალმან აღაშენა ჩემი, ზცარე შეძლების მქონებელის, ხელით ეს მცირე, მაკრამ მკვიდრი ეკლესია. რომ უფალი ღმერთი არ შემწეოდა, რომ ნება მისი არ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, რომ მე არ შემეძლო მისი აღშენება, მით უმეტეს, რომ არავისთვის არ მოთხოვია შემწეობა, არავინ არ შემიწუხებია და ამის აღსაშენებლად არავინ ერთ გროშსაც არ შემწეულა. პირიქით, როგორც მესმოდა, ზოგიერთ პირს ხელის შემშლაც უნდოდა ჩემთვის ამ წმიდა საქმეში და ამ ბოროტ განზრახვაში დავარწმუნდი მაშინ, როცა ეკლესიის მაშენებელ ოსტატებს, მუშაობაზე ხელი ააღებინა უბნის ზედამხედველმა, რომლისათვისაც, ალბად, სიტყვა მიეტანათ, ვითომც მე მთავრობის ნებადაურთველად ვაშენებდი მას, მაგრამ როცა მთავრობის ნებართვა ვაჩვენე მან ნება მისცა ოსტატებს მუშაობისა. ეს იმისთვის მოგახსენეთ, რომ ყოველ კეთილ საქმეს მტერი უჩნდება, მაგრამ რადგანაც კეთილ საქმეს ღმერთი სწყალობს, იფარავს და წინუძღვება, მტერი ვერ შეაფერხებს მას, თუ საქმის მოთავე სულით არ დაეცა და ღვთის იმედი არ დაკარგა.

თვრამეტი წელიწადია, რაც ეს სასაფლაო დაარსდა და ამ დროს განმავლობაში აქ ბევრი მიცვალებული დასაფლავდა. მე ვფიქრობ, ყოველი მიცვალებულის ჭირისუფალნი გრძნობდნენ ეკლესიის საჭიროებას და სწუხდნენ, რომ არ ჰქონდათ იგი მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად. ახლა, ღვთის მადლით, მოვესწარით ამის აღშენებას და კურთხევას და ამან ძლიერ შეგვიმსუბუქა ის მწუხარება, რომელიც შეგვემთხვა ღვთის განგებით. (აქ მე ვგულისხმობ მიცვალებულთა ჭირისუფლებს). ამიტომ რომ ეკლესია დიდად საჭიროა მორწმუნე ქრისტიანთათვის და დიდი მნიშვნელობა აქვს მას. ყოველი ქრისტიანე, რა წოდებისაც უნდა იყოს იგი, თუ გონივრულად სარგებლობს ეკლესიით, ხშირად დაიარება ეკლესიაში ღვთის მსახურების დროს, ყურადღებით ისმენს რასაც ეკლესიაში კითხულობენ და გალობენ და ცდილობს გაიგოს მნიშვნელობა ყოველ მღვდელ მოქმედებისა, ის ამით ეცნობა და სწავლობს საღვთო სჯულს და ადვილად შეუძლია შეისწავლოს უმთავრესნი ჭეშმარიტებანი თავისს სარწმუნოებისა. ამას გარდა, ყოველივე, რაც ეკლესიაში სრულდება, გვასწავლის ჩვენ ღვთის მცნების აღსრულებას, გვინერგავს გულში ღვთის და კაცის სიყვარულს, გვისწირებს ზნეს და გვატკივებინებს ცუდ ჩვეულებებს. ამასთანავე ეკლესია ასაზრდოებს ჩვენ სულს როგორც სხეულს სჭირდება საზრდოება, ისე სჭირდება საზრდოება სულსაც. სულიერი საზრდო არის სიტყვა ღვთისა, რომელსაც ყოველ ღვთის მსახურების დროს კითხულობენ ეკლესიაში

და ვისმენთ ჩვენ. კიდევ სულიერი საზრდო არის წმიდა ზიარება, რომელიც წირვის დროს სრულდება ეკკლესიაში და მოეცემა მორწმუნეს ცოდვების მოსატოვებლად და სულის განსაკურნებლად. როცა ჩვენ ვდგევართ ეკკლესიაში, ვლოცვილობთ, ღმერთს ვესაუბრებით, ღვთის სიტყვები გვესმის, მაშინ სული ჩვენი გრძნობს სიმშვიდეს, სიამეს, სიტკბოებას; მაშინ ჩვენ სულს ღვთაებრივი ნათელი ეფინება, გონება იწმიდება და ცუდი გულის თქმანი ითრგუნება; მაშინ ჩვენ თვითონ შევიქმნებით სულიერ ტაძრად და სული-წმიდა დაემკვიდრება ჩვენ შორის, როგორც პავლე მოციქული ეუბნება მორწმუნე ქრისტიანებს: „არა უწყითა, რამეთუ ტაძარნი ღმრთისანი ხართ და სული ღვთისა დამკვიდრებულ არს თქვენ შორის“ (1 კორინთ. 3, 16).

ამას გარდა ეკკლესიას დიდი მნიშვნელობა აქვს მიცვალებულთათვის; ეკკლესია აღავლენს ღვთისადმი ვედრებას, ლოცვას, მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად და საცხოვნებელად, სთხოვს ღმერთს მიცვალებულთა ცოდვების მიტევებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მიცვალებულთათვის შესრულებულ წირვას, რომელიც აუცილებლად ეკკლესიაში უნდა შესრულდეს. ამას მოწმობენ წმიდანი მამანი: ვასილი დიდი, იოანე ოქროპირი, რომელთაც შეადგინეს წირვა, იოანე დამასკელი, კირილე იერუსალიმელი და სხვანი. მიცვალებულთათვის წირვა-ლოცვის სარგებლობაზე შესანიშნავ მაგალითს გადმოგვცემს წმ. გრიგორი ორმეტყველი. ის მოგვითხრობს შემდეგს: „ჩემ მონასტერში ცხოვრებდა სხვათა შორის ერთი ბერი, რომელიც იყო ანგარების მოყვარე. სხვა ბერების გასაფრთხილებლად, ანგარების მოყვარეს სიკვდილის შემდგომ ოცდა ათი დღის განმავლობაში არ შეუსრულეს წესი ქრისტიანულ დასაფლავებისა და წირვა-ლოცვისა. მერმე შეიწყალეს ის და ოცდა ათ დღეს უსრულებდნენ მას წირვა-ლოცვას. წირვა-ლოცვის შესრულების შემდგომ ის გამოეცხადა თავისს მკვდარ ძმას და უთხრა: „დღემდი ჩემი საქმე ცუდად იყო, დღეს კი ბედნიერი ვარო, ამიტომ რომ დღეს მივიღე ზიარებაო“.

ყველა ზემო თქმულიდგან სჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ეკკლესიას და მასში შესრულებულ წირვა-ლოცვას, რომელსაც დღემდი დიდად მოკლებულნი იყვნენ ამ სასაფლაოზე დასაფლავებულნი მიცვალებულნი.

დღეის შემდგომ ყველა ქრისტიანს შეგიძლიათ ისარგებლოთ ამ ეკკლესიით წირვა-ლოცვის შესასრულებლად და მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად. მხოლოდ საჭიროდ მიმაჩნია მოგახსენოთ, რომ ეს სასაფლაო შეუღობავი, ძლიერ მოუწყობელი და უპატრონოდ დატოვებულია, რასაც, იმედია, მიაქცევთ ყურადღებას: შეაკავებთ და გაამშვენებთ მას.

ვევედროთ ღმერთს, რომ მან შეისმინოს ამ ეკკლესიაში აღვლენილი ლოცვა და მიუტეოს ცოდვანი აქა მდებარეთა მიცვალებულთა და ყოველთა მართლმადიდებლობაში აღსრულებულთა. ამინ.

სიტყვა,

თქმული მღვდ. ს. მჭედლიძის მიერ ქუთაისის საკათედრო სობოროში თ. ს. დ. ბუჩუშნავას სულის მოსახსენებლად შესრულებულ წირვა პანაშვიდზე.

იყო დრო, ვაგლახი დრო საქართველოს აოხრებისა, აწიოკებისა, დრო ალა მახმედ ხანებისა, მურვან ყრუებისა და შახაბაზებისა, ის დრო, როდესაც სამშობლო გმინავდა მძლავრი და მძვინვარე მტრის ხმალ ქვეშ. მაგრამ ყოველთვის გულ-გაუტეხელი, მუდამ სასოებაწარუკვეთელი, მხნე, და გულადი ერი არ გაითქვიფა უცხო ტომთა შორის, არ დაჰკარგა თავის ელფერი, დაიცვა თვისი ქრისტიანული კულტურა და მშვიდობიანად მოაღწია მეოცე საუკუნის კარებამდე. მრავალნი დიდნი და ცნობილნი ისტორიულნი ხალხნი დაიკარგენ ჟამთა წყვდიადში, რომელთა მხოლოდ სახელებიღა დარჩა მოსახსენებლად შთამომავლობათა, ხოლო ერთმა მუჭმა ქართველმა ხალხმა შეინახა თავი და გვიანდერძა აწინდელ ქართველობას: გაუტეხელი და შეუ-

ბოლოვი სახელი, გმირული თავგანწირულება სამშობლო მიწა-წყლის დასაცავად და უძვირფასესი განძთა განძი, ფას დაუდებელი ობოლი მარგალიტი—შეუმწიკვლელი ქრისტეს სარწმუნოება და მაღალი ქრისტიანული ზნეობა. გვიანდერძა სრული დარწმუნებული, რომ ჩვენ-აწინდელი ქართველები—უნაკლოთ გადავსცემდით მას მომავალ თაობას და ასე არ მოვიშლიდით ქართველნი ქართველობასა, არ დავიკარგებოდით და არ დავკარგავდით მას, რამაც ქართველი ერი უმთავრესად იხსნა დაკარგვისაგან, არ დავკარგავდით სარწმუნოებას, არ ვუღალატებდით სამშობლო ეკლესიას, არამედ ხელს შეუწყობდით მის განახლებას, აღორძინებას და განვითარებას. ჩვენთა წინაპართ, რაც შეეძლოთ, ყოველივე ილონეს ამისათვის, ყოველივე წინასწარ განზომეს და განიგულეს. ყოველივე მოაგვარეს, რომ ანდერძი შესრულებულიყო, მაგრამ ამაოდ. მოსვენება უნახავმა, ხელში ხმალ გამოუცილებელმა ქართველობამ, იპოვა რა მშვიდობიანობა, ერთ ხანს გულიანად იძინა და შემდეგ გაღვიძებისა, დაინახა რა არა ჩვეულებრივი მოჩვენებითი ბრჭყვიალი ევროპის ცივილიზაციის ზედა პირისა, მიეცა თავდავიწყებულ განცხრომას, ითაკილა ქართველობა, ქართული ენა, ქართველური ზნე ჩვეულება და რაც რამ ებადა სულიდგან ხორცამდის ზნეობრივად თუ ქონებრივად შესწირა, ძღვნად მიართვა და ფიანდაზად დაუგო დარუბანდის კარებიდგან შემოსულ ევროპიელ კულტურის აჩრდილს. განჰქრენ სახოვადო მოღვაწენი, შესწყდა ღაღადისი ღვთივ—განბრძნობილ მოძღვართა, დაცარიელდენ ქართველ კათოლიკოსთა, მთავარეპისკოპოსთა და ეპისკოპოსთა მრავალნი კათედრანი, დადუმდა ქნარი რუსთველისა—შესწყდა მაჯის ცემა საქართველოსი. ეხლა იგი შეიქმნა მოედნად ძალმომრეობისა, ღალატისა, ძმათა მკვლელობისა. ამ ვაგლახ დროს ძლიერ მცირე რიცხვმა შეინარჩუნა ქართველური სული, ისიც ნახევრად გადაგვარებული და გადამახინჯებული. ასეთ ჟამბში აღზრდილი ახალგაზდობა, გარდა მცირე რიცხვით ზეგარდამოცხებულ ადამიანებისა, რომლების გუნდს ეკუთვნოდა აწ უკვე განსვენებული სვიმონ გეგენავა, რა თქმა უნდა, ვერ გაამართლებდა მამა-პაპათა მოლოდინს, ვერ გაუწევდა ერს მამობას, ვერ შეიგნებდა ეროვნებისა და ეროვნულ ენის, სარწმუნოება-ზნეობის დიდ მნიშვნელობას, ვერ დააფასებდა ქრისტეს სჯულის სიდიადეს, რომელიც ქართველმა ერმა მთელი თუთხმეტი საუკუნე ატარა თავის მრავალ ტანჯულ მხრებზე, მისთვის რომ შთამომავლობისთვის არ მოეკლო მისი ცხოველ მყოფელი სხივი. და არ კი 1905—6 წლებმა დაგვიმტკიცეს ჩვენი ახალგაზდობის ფუქსავატობა და ყოველ მხრივ სიკოტრე? მათ ვერ ჰპოვეს თვის შორის იმოდენი მოქალაქობრივი გაბედულება, რომ გამოსარჩლებოდენ თავის ენასა, სარწმუნოებასა და ეროვნებას და ამიტომ უარ ჰყვეს ერთიცა, მეორეცა და მესამეცა. უარ ჰყვეს არათუ მხოლოდ ეროვნული, არამედ შთამომავლობითი ნათესაობაც, დედაშვილობა, დან-ძმობა; უარ ჰყვეს ეკლესია, ღმერთი, დაჰგმეს ტაძრები, გაგვილანძღეს ხატები. ეხლა განვითარების და მსწავლულობის ნიშანი ის არის, რომ ნათესაობა და ეროვნება უარ ჰყო, ღმერთი არ იწამო, ეკლესიაში არ შეიხედო, სასულიერო პირი გეზიზღებოდეს. და ამ მცნებებს მტკიცეთ იცავს ჩვენი ახალ-თაობა. და გასაკვირველი ის არის, რომ ამას ჩადის მხოლოდ ქართველობა. იშვიათი შემთხვევა იქნება ჩვენი განათლებული და მოწინავე თაობა ან სტუდენტობა ეკლესიაში ნახო, და თუ შეხვდები ისე გაშტერებით მცგომს, რომ მაშინვე შეატყობ, ეს კაცი ჯერ ეკლესიაში არ ყოფილა და ყველაფერი უკვირსო. შეიძლება ვინმე პატივცემულ გარდაცვალებულის პატივსაცემად იკადროს შემოსვლა ეკლესიაში, მაგრამ უნდა ნახოთ, როგორ დაცინვით უკან ხელებ მოწყობილი სდგას იგი და თავის მეცნიერების სიმაღლიდგან უყურებს გულუბრყვილო საზოგადოებას, რომელიც ფიქრობს უკვდავებაზე და ევედრება ღმერთს მიცვალებულის სულის საოხად. ასეთ დროს მოესწრო ღრმად მორწმუნე, გულით და სულით ქართველი, ქრისტეს სახარების მორჩილი და რუსთველის

ქნარის მოტრფიალე აწ უკვე განსვენებული თ. სვიმონ დავითის ძე გუგუნავა. რომლის პატივსაცემად დღეს შეგროვილა ასე რიცხვით მცირე საზოგადოება. განსვენებულს არა მცირედი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ლიტერატურისა და საზოგადოებისადმი და მისი გამოკლება მცირე რიცხოვან ქართველ მოღვაწეთაგან საგრძნობელ დასაკლისად უნდა ჩაითვალოს. განსვენებული ჯერ კიდევ მოხუცებული არ ყოფილა, მაგრამ ვერ გაუძლო იმ ზნეობრივ სნეულებას, რომელიც გამოიწვია მასში დღევანდელმა ჩვენმა უკუღმართმა მიმართულებამ. ის, ვინც ღმერთი აღიარა უმაღლეს ჭეშმარიტებად და სთქვა:

„უწინარეს მას ვადიდებ, ვინაც შექმნა
ზღვა და ხმელი,
ვინც მარადის არსებობით უკვდავია და
უხრწნელი,
ვინც ჯოჯოხეთს განმაშორა, შემიყვარა, მცხო
ნათელი,
მისგან ვითხოვ განმერინოს ეშმაური განსაც-
დელი."—

რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდებოდა ეხლანდელ ქართველების გამხრწნელ სარწმუნოების და ქრისტიანულ ზნეობის უარყოფას. საუკუნომც იყოს შენი ხსენება მონაო ღვთისაო სვიმონ. ღმერთი, რომელსაც შენ აღიარებდი უმაღლეს ჭეშმარიტებად და რომლის მოცემული ტალანტი არ დამარხე, დაგიმკვიდრებს შენ სასუფეველს და შენ საყვარელ ქართველ ერს კვლავ განუღვიძებს სარწმუნოებას და ჩაუდგამს მამა-პაპურ უმანკო სულს. ამინ.

კონსტანტინე პეტრეს ძე პობედონოსცევი და სპირიტიზმი *).

რუსეთში უკვე კარგად ცნობილმა ინგლისის გამოჩენილმა ჟურნალისტმა სტედმა ამ ცოტა ხანებში გამოაქვეყნა ორი დიდი ტომი თავის თხზულებისა, რომელშიდაც მოთავსებულია „ქ-ნი ო. ა. კირეევ-ნოვიკოვას მოღვაწეობა პოლიტიკურ ასპარეზზედ" (დეპუტატი რუსეთიდგან) — ქ-ნ ნოვიკოვას რუსეთში ძალიან ცოტანი იცნობენ და მისი მოღვაწეობაც, თუმცა დიდ მნიშვნელოვანს რასმეს არ წარმოადგენს, მაგრამ ნოვიკოვას ბედმა არგუნა ვიწრო კავშირი ქონებოდა და დაახლოვებით გაეცნობოდა ბევრ მის დროის რუსეთის არისტოკრატია-სანოვანთ, (ნოვიკოვა დაიბადა 1840 წელს.) რომელთა ცხოვრებიდგან ბევრი საინტერესო ეპიზოდებია მოყვანილი. სტედს მართლა რომ აუარებელი მასალა შეუკრებია აღნიშნული პირის ცხოვრებებიდგან და აი ერთი, ჩვენი შეხედულებით არა უინტერესო ადგილი, შეკრებილი მასალისგან, მსურს გავაცნო მკითხველ საზოგადოებას. აქ უადგილო არ იქნება აღვნიშნო, რომ ქ-ნ ნოვიკოვას ცხოვრება-მოღვაწეობაზედ დიდი გავლენა იქონია კონსტანტინე პეტრეს ძე პობედონოსცევის გაცნობამ და დაახლოვებამ, რაც მოხდა იმ დროს, როცა კონსტანტინე პეტრეს ძე გამოუთქმელ ძლევამოსილებაში იყო ერთი გასაოცარი მოვლენისგან მოხდენილ შთაბეჭდილების ქვეშ. სტედი აქ თავის კომენტარიებს არ უკეთებს, სიტყვითი სიტყვამდე მოჰყავს კ. პ. პობედონოსცევის ნაამბობი და აი სწორედ საინტერესო ეპიზოდი მეც მოყავს სიტყვითი სიტყვამდე:

რამოდენიმე წლის წინეთ, საზაფხულოდ, პეტერბურგის მახლობლად მე ვიქირავე მართლა საღიდკაცო სახლი. პირველველ ღამეს, გადმოვედით-თუ არა, არც მე და არც ჩემ ცოლს დასაძინებლად თვალი არ დაგვიხუჭავს. დავწექით თუ არა, საიდგანღაც შემოგვესმა ყრუ ბრახუნი. ავდექი, დავუძახე ჩემ კაცს და მთელი სახლი შემოვიარეთ, რადგან ბრახუნი ისე ყრუთ ისმოდა, რომ გარედგან მეგონა. არავინ არ იყო. ყველაფერი მიწყნარდა. დავწექი, თუ არა ხელმეორედ დაიწყო ბრახუნი ისევე ყრუ, მაგრამ უფრო ჩქარი და გარკვეული. ძილზე ფიქრი მეტი იყო.

მეორე ღამეს განმეორდა იგივე. ჩვენ გადავსწყვიტეთ, რომ ეს საფათერაკო სახლი დაგვეტოვებია, მაგრამ ერთმა ჩვენმა ნაცნობმა გვირჩია, მოგვეპატიჟა სეანსისთვის ვინმე მედიუმი. მე სრულიად არ მწამდა სპირიტიზ-

---

*) ვსარგებლობ ჟურნალ „ახალი სიტყვისგან" წიგნი მეექვსე (ივნისი) ს. პეტერბურგი.

მი, მაგრამ რადგან არ შემეძლო ახსნა ბრახუნის მიზეზისა, დავთანხმდი მედიუმის მოპატიჟებაზედ სეანსის გასაკეთებლად. მედიუმი მოვიდა ჩადგა რა პასიურ მდგომარეობაში გვიამბო შემდეგი: „ბრახუნებს ერთი მღვდლის სული, რომელიც მომკვდარა წირვის შესრულების დროს. კითხვაზე: თუ რანაირად შეიძლება ამ წვალებული სულის დამშვიდება, მედიუმმა, რომელსაც ჩვენ განსაკუთრებით თვალყურს ვადევებდით, გვიპასუხა, რომ ამისთვის საჭიროა შეორე მღვდლის მოყვანა და შეწყვეტილი წირვის დათავებაო“. შემდეგ ამისა მოხდა მართლა დაუჯერებელი რამ: მედიუმმა გამოაცხადა „ამ სახლში არის ეკკლესია (რომლის არსებობა არც ერთმა ჩვენგანმა და მგონი გამქირავებელმაც არ იცოდა), კარები ამოშენებულია აგურით და მას შემდეგ, რაც მღვდელი მოკვდა, ყოველივე ხელ შეუხებლად დარჩა და არის ისე როგორც იყო იმ მღვდლისათვის საბედისწერო დღესო“.

— მომითმინეთ, — გავაწყვეტინე მე,— რანაირად შეიძლება ეს სიმართლე იყოს, როცა ამ ეკკლესიის შესახებ არავინ არაფერი იცის...

— ჩადით კარიდორში,—მიპასუხა მედიუმმა,—გაჰყევით მარჯვნით და რომ გაივლით დასახელებულ ძანძილს შემდეგ შეამჩნევთ აღმოშენებულ ეკკლესიის კარს.

ყოველივე ეს ჩემთვის დაუჯერებელ რამეს წარმოადგენდა, მაგრამ მედიუმი ისე გარკვეულად და დაბეჯითებით იმეორებდა ყოველივეს, რომ მე გადავწყვიტე კარის მოძებნა და, გასაოცრად ჩვენდა, ყოველივე ვნახეთ ისე, როგორც ამბობდა მედიუმი. ძოვიპატიჟეთ მღვდელი და მას აქეთ ბრახუნიც შეწყდა.

„მე არ შემიძლია ყოველივე ამას მოუძებნო დამაკმაყოფილებელი ნამდვილი ახსნა და ამიტომ გადმოგეცი ყოველივე მხოლოდ ისე, როგორც იყო“, დაასრულა კოსტანტინე პეტრეს ძემ თავისი ამბავი.

მდივ. ვ. დუმბაძე.

ი რ ო დ ი ა დ ა.

გ უ ს ტ ა ვ ფ ლ ო ბ ე რ ი ს ა

თარგმანი ფრანგულიდან.

(გაგრძელება *).

III.

დარბაზი, სადაც ლხინი უნდა გამართულიყო, სტუმრებით გაიჭედა. იგი ბაზილიკის მსგავსი იყო და სამ ნაწილათ იყოფებოდა. მათ შორის ამართული იყო სამი ალგუმინის ხის სვეტი, რომელიც ბრინჯაოს კაპიტელებითა და ქანდაკებით იყო მოკაზმული. ამ სვეტებზე დაყრდნობილი იყო ორი იატაკ ხარატულიანი გალერეია, მესამე კი ოქროს ფილიგრანით დარბაზის ბოლოს, შემოსავალ თაღის პირდაპირ, მრგვალდებოდა.

ანთებული კანდელები, რომელთა გარშემო, სუფრის გასწვრივ, ჩაყოლებული იყო თიხის ჯამები, სპილენძის თეფშები, ნაყინვი თოვლი და ყურძნის მტევნები, ცეცხლ მოკიდებულ ჩირგვებს წააგავდენ.

სანთლის ყვითელი წერტილები, ჰერის სიმაღლით ძლეულნი, ილულებოდენ, ერთდებოდენ და სივრცეში იკარგებოდენ. ტრიბუნებიდან ანასხლეტი სხივები ხის ტოტებში ვარსკვლავთა კრებულივით ბრწყინავდენ.

ანტიპა ლხინს იხდიდა, რომელზედაც მოეწვია მეგობრები, ხალხი, ყველა ვინც კი მის მაპინძლობას არ იუკადრისებდა.

მონები, ხონჩებით ხელში, თითის ტარივით ტრიალებდენ. ოქროს ტრიბუნაზე, რომელიც მესამე ძეულზე ამართულიყო, განგებ მისთვის მოწყობილ ამაღლებულზე იდგა პროკონსულის ტაბლა. ბაბილონის ქეჩაანოხები, რომლებითაც ჩამოხურული იყო კედლები და ჰერი, პავილიონის მსგავს რამეს წარმოადგენდენ. სპილოს ძვლის სამი საჯდომი, ერთი სპატიო ალაგას, ხოლო ორი იქით აქეთ, ამშვენებდენ ტაბლას. მარცხნივ, კარის ახლოს, იჯდა პროკონსული, მარჯვნივ ავლი, შუაში ტეტრარქი.

მას ეხურა შავი მძიმე წამოსასხამი, ფერადი ნაკეცებით მოქარგული; ფერ უმარილი

*) იხ. „შინ. საქმ.“ № 21.

ჰფარავდა მის ღაწვებს, წვერი მარაოსავით დაჰფენოდა, ხოლო ალისფერად დაპუდრულ თმას იმაგრებდა ძვირფას ქვებით მორთული გვირგვინი. ვიტელის ისევ ის სისხლის ფერი საბეჭური შერჩენოდა, რომელიც ირიბულათ დაეკრა მისი შალის წამოსასხამს. ავლს ზურგზე ებნია სახელოები ცისფერი აბრეშუმის შესამოსლისა, რომელიც ვერცხლის გალონებით კანჯარივით იყო აპრელებული; დახუჭუჭებული თმა სამ რიგათ იხვეოდა და მის ქალურათ თეთრსა და მსუქან მკერდს აბრწყინებდა ლალის საყელური. მის ახლო მოფრთხილი იჯდა საუცხოო სილამაზის ბავში, რომელიც განუწყვეტლივ იღიმებოდა. ავლმა სამზარეულოში ნახა იგი და მას აქეთ ველარ იცილებდა. რადგან ყმაწვილის ქალდეური სახელი ვერ დაემახსოვრებია მას, ამიტომ მხოლოთ Aziaticus-ს უწოდებდა მას. რომელი დრო და დრო ზურგზე წამოწვებოდა ხოლმე და მისი შიშველი ფეხები მთელ დარბაზში მოსჩანდა.

იმავე მხარეს იჯდენ მღვდლები და ჯარის უფროსნი, იერუსალიმის მცხოვრებნი, ბერძენთა ქალაქების წარჩინებულნი; პროკონსულის მხრით, ძირს ჩამწკრივებულიყვნ: მარცელი მეზვერეებითურთ, ტეტრარქის მეგობარნი, წარჩინებულნი კანას ქალაქიდან, პტოლემაიდიდან, იერიქონიდან; მათ ქვევით კი—უფრო მდარენი: მთიელნი ლიბანიდან, ჰეროდე დიდის ძველი მეომარნი, თორმეტი თრაკიელნი, იდუმეველი მწყემსნი, პალმირის სულთანი, ეზიუგაერიელი ზღვაოსანი. თვითეული სტუმრის წინ ხელსაწმენდათ თხელი ცომის ნაწყვეტი იდო, მონადიმენი გულდასმით შეეჭყეოდენ ზეთიხილს, ნუშსა და სხვა ხმელ ხილს. ყვავილებით მორთული სახენი მხიარულებით ბრწყინავდენ.

ფარისეველებმა უარი განაცხადეს ასეთ გვირგვინებზე, რადგან იგინი რომაელთა ბიწიერებას წარმოადგენდენ. იგინი კანკალმა აიტანა, როცა სტუმრები გალბანისა და გუნდრუკის სითხით ასხურეს: ესეთი რამ მხოლოთ ღვთის მსახურების დროს იხმარებოდა.

ავლმა იღლიებიც კი დაიზილა ამ ნელსაცხებლით და ანტიპამ მთელი ხოლმანდი აღუთქვა მას ასეთი სურნელებით დატვირთული, აგრეთვე სამი კალათი ნამდვილ ის საცხებელი, რომლის წყალობითაც კლეოპატრას პალესტინის დაპყრობის სურვილი აღეძრა. ტეტრარქის ზურგს უკან მოთავსებულიყო ტიბერიადის გარნიზონის ერთი უფროსთაგანი, რომელიც მაქერუზს ნოსულიყო და ეტყობოდა, არა ჩვეულებრივ ამბებს ჰყვებოდა. მაგრამ ანტიპას გონება პროკონსულისა და მის ახლო მჯდომთა მუსაიფს წაეღო. იქ იოაკანამსა და მის მსგავსებზე ლაპარაკობდენ.

რას არ ამბობდენ:

სიმეონ გიტოელი, მაგალითად, ცეცხლით განბანს ცოდვილთა, ვინმე იესო...

— ეგ ყველაზე უარესია—შენიშნა ელიაზარმა—საზიზღარი ცბიერი! ტეტრარქის უკან წამოდგა ვინძე, მკრთალი, გაფითრებული, ვით საკუთარი ქლამიდის არშია. იგი ნელა ჩამოვიდა ამბიონიდან და, მიუბრუნდა რა ფარისეველებს, მტკიცეთ წამოიძახა:

— სტყუით თქვენ, იესო სასწაულებს ჰქმნის!..

ანტიპამ მოისურვა ნახვა იესოსი.

— რისთვის არ მოგვგვარე იგი? მაშ, მოჰყევ, რა იცი მის შესახებ!

მაშვინ უცნობი მოჰყვა, რომ მას, იაკობს, ქალიშვილი ჰყავდა ავათ და ამიტომ იგი გაემგზავრა კაპერნაუმს, რომ მოძღვრისთვის ეთხოვა განკურნება მისი. მოძღვარმა რქვა მას: მიიქეც შინით, ასული შენი განკურნებულ არს—და იაკობმა მართლაც განკურნებული ნახა ქალიშვილი, რომელიც კარებში მოეგება მას... ავათმყოფმა სწორეთ იმ დროს მიატოვა ცხედარი, რა დროსაც მოძღვარმა აღუთქვა მას განკურნება.

ხოლო ფარისეველნი წინააღმდეგს ამტკიცებდენ: რასაკვირველია—ამბობდენ იგინი—არის ისეთი ძალა, ერთნაირი ბალახი, რომელთაც ჯადოსნური გავლენა აქვთ. თვით მაქერუზშიაც იპოვებოდა ასეთი ბალახი, რომლის მოქმედებაც უზადოს ჰყოფს ადამიანს. მაგრამ განკურნა ავათმყოფი უნახავათ, მიუკარებლათ... სასაცილოა! ერთი რამ კი შე-

საძლოა: იესო უხმობს ავსულთ. ანტიპას მეგობრებმა თავის ქნევით გაიმეორეს:

— ჰო, ავსულთ... ეს უეჭველია!

იაკობი კი იდგა მათსა და ფარისეველთა შუა-წყნარი, შეუდრეკელი.

— გვიმზე რადა—არ ეშვებოდენ მას—დაგვიმტკიცე მისი ძლიერება!

იგი მხრებ აწევით ოდნავ დაიხარა და წყნარი, აკანკალებული ხმით წარმოსთქვა:

— ნუ თუ არ იცით, რომ იგი... მესიაა?

მწიგნობრებმა ერთი ერთმანეთს გადახედეს; ვიტელიმ მოისურვა ამ სიტყვების ახსნა: თარჯიმანი, სანამ უპასუხებდა, წამს შეყოყმანდა.

— მესიას ებრაელნი უწოდებენ მას—სთქვა მან—რომელიც იხსნის მათ მონობისაგან და, ამ ქვეყნიურ კეთილ დღეობასთან ერთად, დაემორჩილებს მათ ყოველთა ტომთა. ზოგნი ორ მესიასაც კი მოელიან. ერთი დამარცხებულ იქნების ჩრდილოეთის ბოროტ სულთაგან, გოგისა და მაგოგისაგან, ხოლო მეორე დასძლევს მთავარსა ცოდვისასა; და აი, რამოდენიმე საუკუნეა, რაც იგინი მის მოსვლას ელოდებიან.

მღვდლები რაღაცას თავისთვის ჩურჩულობდენ. შემდეგ ელიაზარმა ითხოვა სიტყვა.

— ჯერ ერთი რომ—დაიწყო მან—მესია ძე დავითისა უნდა იყოს და არა უბრალო ხუროსი. მერმე ისა, რომ იგი დაიმარხავს სჯულსა, ეს ნაზარეველი კი—არღვევს მას.

მისი უმთავრესი მტკიცება კი ის იყო, რომ მესიას წინ უნდა უძღოდეს წინასწარმეტყველი ილია.

— კი მაგრამ, ილია ხომ უკვე გამოცხადდა!—წამოიძახა იაკობმა.

— ილია, ილია!—მთელ დარბაზში გაიმეორა ბრბომ.

მათ გონებას ნათლად წარმოუდგა შემდეგი სურათი: მოხუცი, ყორანთა გუნდში გახვეული, ზეციდან მოვლენილი ცეცხლი, რომელიც სწვავს და ანიავებს კერპთაყვანისმცემელთა სამსხვერპლოსა და მათ მსახურ ქურუმებს... მანდილოსანთ მოაგონდათ სარეპტის ქვრივი.

იაკობი კი თავისას არ იშლიდა და დაჟინებით ამტკიცებდა, რომ მან უკვე იხილა იგი. იხილა აგრეთვე მთელმა ქვეყანამ!

— სახელი, სახელი მისი!

მაშინ მან დაიყვირა რაც ძალი და ღონე ჰქონდა:

— იოაკანამი!..

ანტიპა, თითქოს მის მკერდს ძლიერი რამ ეტაკაო, უეცრივ გადაბრუნდა.

სადუკეველნი მისცვივდენ იაკობს. ვაი უშველებელსა და ღრიანცელში მხოლოთ ელიაზარი ჰყვიროდა და ცდილობდა ბრბოს ყურადღება მიექცია

როცა სიჩუმე ჩამოვარდა, იგი გაეხვია თავისს ტოგაში და, ვით მსაჯულმა, დაიწყო გამოკითხვა:

— ილია წინასწარმეტყველი ხომ უკვე მოკვდა?

ბრბოს ყვედრებამ გააწყვეტინა მას ლაპარაკი. ბევრი დაჯერებული იყო, რომ ილია არ მომკვდარა, მხოლოთ მიიმალა ხალხს. ელიაზარი გაფიცხდა... მაგრამ მერმე ისევ განაგრძო:

— მაშ, შენ გგონია, რომ იგი აღსდგა?

— დიაღაც!—მიუგო იაკობმა.

სადუკეველებმა მხრები მეიშმუშნეს თვალებ-დაპოაწული, ირნაფანი კი სულელივით იღიმებოდა.—განა სასაცილო არაა, უძლური საეული, უბრალო მტვერი საუკუნო ცხოვრებაზე ფიქრობდესო? ამასთანავე, პროკონსულის გასაგონად, მან წარმოსთქვა თანამედროვე პოეტის სიტყვები: „Nec crescit neu post mortem durare oidetir" *)

ამ დროს ავლი, მთლად გაყვითლებული და გაოფლიანებული, უცბად მიიჭრა და ტრიკლიონიოსს გადააწვა. იგი საცოდავად იღმიქებოდა და ღუცელზე ხელს იჭერდა.

სადუკეველებმა ვითომ მეუხარების სახე მიიღეს. (მათ მეორე დღესვე მიიღეს მსხვერპლის შეწირვის უფლება). ანტიპამ კინაღამ სასო არ დაკარგა. მხოლოთ ვიტელი იჯდა უგრძნობლათ, თუმცა იგი კარგათ გრძნობდა

*) არც ზრდა, არც ყოფნა სიკვდილის შემდეგ არ ძალუძს.

სულის შინაგან მღელვარებას. სახუმრო ხომ არ იყო — შვილთან ერთად მას ეღუპებოდა მთელი თვისი მომავალი!

(შემდეგი იქნება).

იმერეთის საეპარქიო სამოსწავლო საბჭო.

„თვით არ იყო ძმარიო, გაერია წყალი"-ო, სწორეთ ჩვენი იმერეთის საეპარქიო საძრევლო სკოლების დღევანდელ მდგომაოეობაზეა გამოყენილი. უიმისოდაც წყალ-წაღებული იყო მისი ბედ იღბალი, ხადგილი გულშეძატკივარი ძეთაური სახთლით საძებარი ჰყავდა და ეხლა მთლათ ხელი მოუთავდა. ჩვეულებრივ ხალტ, უგულო და უსაქმო საეაარქიო საბჭოს ოფიციალური ხასიათიც კი დაეკარგა და ეაარქიის მეთვალყურისა და ხევრების უძრავლესობის ყალობით პიოად ინტერესეაის სათარეძო ასპარეზათ გაოდაიქცა. ეოთი სხდომა, ერთი უბრალო კრება არ ჩაივლის ისე, რომ პიოადაა ინტერესეაა არ მთანთქან საზოგადო საკითხეაი და ამნაირად მთლათ ბოლო ეღება საბოალო სკოლებს. საკმაოა ძხოლოდ ერთი ძეიხედოთ საბჭოძი, რომ დაოწუხდეთ, რომ იქ რაიმე სეოიოზული საქმის გაკეთება ყოვლად ძეუძლეაელია. ყველას ოალაც საქმისადმი აპატია ეხატეაა ზედ და მხოლოდ გაფაციცებით ადევნებეხ ყურს, აბა რა ხათოსცდეს საკბილო ოომელიმე მხარესო (საბჭო ხომ ორ ბანაკათაა გაყოფილი, ერთი მხრით „წითელ-სარჩულოსანი" და მისი მომხრენი — უაიროვხო ხევრები, ხოლო მეორე მხრით დანაორეხეაი). ამაღლეაის სკოლის საქმე, მაღლაკისა და სხვა ამისთანეები, ოომელნიც ჩვეულებრივ საკითხს წარმოადგენენ, ხოლო საბჭომ დრეიფუსის საქმის მხიშვნელობა მისცა, ნათლად მოწმობენ მაზე, რომ საზოგადო საქმის ჭიმის დაკავების უნარი არც ერთ ეხლანდელ წევრს არ აქვს, მათ შორის ეპარქიის მეთვალყურესაც.

საბჭოს (აქ იგულისხმეთ ეპარქიის მეთვალყურეც) რომ არავითარი საზოგადო საქმის გაძღოლის უხარი არა აქვს აძას ნათლად მოწმობს ეხლანდელი სკოლების მდგომარეობა. აიღეთ რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი. რას ვხედავთ აქ? ქვემო იმერეთსა და შორაპან'ში არსებობენ მეორე კლასიანი, ორკლასიანი და ქალთა სასწავლებლები; მე არ ვლაპარაკობ ეოთკლასიან სკოლებზე, რომელთა რიცხვის შედარებაც ძეუძლებელია, ზემო აღნიშნულ მხაოეებ'ში არ მოიპოვება არც ერთი მეორე კლასიანი, ორკლასიანი, გინა საქალებო სასწავლებელი; მაშინ როდესაც, თუ სადმე სწავლა განათლება საქიროა, უწინაოეს ყოვლისა ამ მივარდნილ კუთხეებ'ში. მაგრამ არა თუ სკოლებს არ გვიხსნის ბ. „გენერალი", ნახვასაც არ კადრულობს და, როგორც „ძინაურ საქმეებ'ძიც" იყო აღნიშნული, მემწვანილეებ'ში კოებავს ცხობებს სკოლების მდგომარეობაზე.

საქიროა ეხლანდელი საბჭოს შედგენილობა, განახლდეს ანა და საგრძნობი საყვედური ძოხვდეს ძას და მათ შორის ყველაზე საგრძნობი „წითელ-სარჩულოსახ", ოომელმაც, სადაც კი გაიქაქანა ყველგან წყალი აამღვოია.

მიროყელი.

ქვეყიდან ქვეყობამდე.

— ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი გიორგი უკვე ჩამობრძანდა ქუთაის'ში და შეუდგა განსაკუთრებით იმერეთის ეპარქიის მართვა გამგეობას. თვალსაჩინოდ აკლდა უეპისკოპოსობა ნაჩვევ ქალაქს და საკათედრო ტაძარს.

— ღვთისმშობლობას ყოვლად სამღვდელო გიორგიმ გელათის ძონასტერში სწირა. წირვის წინ მისმა მეუფებამ პანაშვიდი გადა-

ხადა განსვენებულ ეპისკოპოს გაბრიელის საფლავზე და კიდეც უწირა. დღესასწაულს ხალხი ჩვეულებრივზე ნაკლები დაესწრო. მალალი საზოგადოებიდან არავინ სჩანდა. უეჭველია სარწმუნოებასთან თავმოყვარეობაც დაჭკარგა, რომ აღარ იზიდავს მათ დიდებული დროის დიდებული ნაშთი. ხალხი სულ მდაბიო იყო. „კურთხეულ არს ღმერთი, რომელმან დაჰფარა ესე ბრძენთაგან და გამოუცხადა სულელთა“. საზოგადოება დიდი ნასიამოვნები დარჩა ყოვლად სამღვდელო გაბრიელის მოსახსენებელ წირვითა და პანაშვიდით, ხოლო საკმაო გულმხურვალება ვერ გამოიჩინა.

✦ ამბობენ იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების მეთვალ-ყურე ბ. თ. ეორდანიასა და საბჭოს შორის განხეთქილება ჩამოვარდნილა. ან კი სად არ ჩამოვარდნილა განხეთქილება, სადაც ბ. ეორდანიას ფეხი შეუდგამს. ამბობენ უფრო მეტს, ვითომ ბ. ეორდანია ბრალს სდებს ეხლანდელ საბჭოს საქმის მწარმოებელს არღანზე გაქეიფეს, მიდ მოგიყიდეს და ცრუ მოხსენება შეგადგენიეს საბჭოსთვისო. ჩვენ კარგათ ვიცნობთ ბ. საქმის მწარმოებელს, რომელსაც თავის დღეში ფეხი არ გაუშვერია საცეკვრად, არც პირი გაუღია სამღერ საქეიფოდ. გვიკვირს, ეხლა რათ მოუვიდა ბ. ეორდანიას გასახარელი საქმე. დარწმუნებული ვართ ეს ბრალდება მტკნარი სიცრუეა, რომელსაც ბ. საქმის მწარმოებელი დაამტკიცებს მკაცრი გამოძიების მოთხოვნით.

✦ მოწამეთა მონასტრის წინამძღვრად არხიმანდრიტ პიროსის ნაცვლად, რომელიც სინოდის კანტორის წევრად გადაიყვანეს, ყოვლად სამღვდელო გიორგიმ წარადგინა ქუთაისის საკათედრო ტაძრის მესამე მღვდელი დეკანოზი ნ. ყუბანეიშვილი. ყველას დიდ დესიამოვნა ასეთი დანიშნულება ბ. ყუბანეიშვილისა, რომელიც თავის მიმართულობით და ენერგიით სწორეთ საჭირო კანდიდატია არა მარტო მოწამეთის მონასტრისათვის. ვისურვებთ მრავალი მამა დეკანოზის მსგავსი მღვდელნი გამოსულიყვნენ ჩვენ დაცემულ მონასტრებში. ს. მუშაკოდ, სადგანაც ისევ ძველებურად უნდა მოეფინოს სარწმუნოება ჩვენ ნახევრად გადარჯულებულ სამშობლოს.

✦ უტყუარი წყაროებიდან შევიტყეთ, რომ განრისხული ეპისკოპოზი კირიონი და არქიმანდრიტი ამბროსი შეუბრალ შეუწყალებიათ. პირველისთვის დაუნიშრავთ პენსია (რაოდენობა ვერ გავიგეთ), ხოლო მეორესთვის ნება დაურთავთ წირვა-ლოცვის და მღვდელ მოქმედების შესრულებასა. ჯერ გამორკვეული არ არის დააბრუნებენ ზემო აღნიშნულ სამღვდელო პირებს სამშობლოში, თუ ისევ რუსეთში დასტოვებენ.

✦ საქართველოს ექსარხოსად, როგორც სარწმუნოდ ამბობენ, დანიშნულია ტამბოვის ეპისკოპოზი ინნოკენტი. ოფიციალური ბრძანება ამის შესახებ გამოქვეყნებულ იქნება ენკენისთვის 15 შემდეგ ტამბოვის ეპისკოპოზად ახახელებენ ბაქოს ეპისკოპოზს გრიგოლს. რომელიც ეხლა დროებით მმართველია საექსარხოსოსი.

✦ ენკენისთვის პირველს დიდი დღესასწაულობით აკურთხეს სასულიერო სემინარიის ახალი შენობა „ვაკეზე“. კურთხევაზე მოწვეულები იყვნენ მიტროპოლიტები და ყველანი, ვინც კი აქ რექტორებად ან ინსპექტორებად ყოფილან. არავინ მოწვეულთაგანი არ მოვიდა. ზოგიერთმა კი მოსალოცი ტელეგრამები გამოგზავნეს.

სემინარია მდიდრული შენობაა და ყველაფრით კარგა მოწყობილი; საკუთარი წყალი, საელექტრონო სადგური, ორთქლის გათბობა, ელექტრონის განათება ყველგან — ფეხისადგილებშიც კი, პარკეტის იატაკი კლასებში, სადგომი სახლები ბასწავლებელთათვის. ნეტავი როგორღა იკადრებენ მიწურ სახლში ან ფაცხაში შესვლას ამ შენობაში გაზრდილი შეგირდები?

სასუფეველი ღვთისა*).

„მოვედინ სუფევა შენი“!

თქვენ გესმათ რა არის ნათქვამი: თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ ესე იგი თუ მოყვსიდან შურს იძიებ, გადაჭარბებულათ ნუ იძიებ; ნუ იძიებ დამექსავით წყლულისათვის სიკვდილით, შეურაცხყოფისათვის სამოცდაათშვიდჯერ (დაბ. 4 თ. 24 მ.). არამედ იძიეთ წლულისათვის წყლულით, ჭრილისათვის ჭრილით, ე. ი.

*) იხ. „შინ. საქმ.“ № 21.

გეტყვი თქვენ: ბოროტისთვის ბოროტებით ნუ მიაგებ, თუ ვინმემ მარჯვენა ყბაზე შემოგკრას სამაგიეროს ნუ მიაგებ, უშფოთოთ, საბრძოლათ გამოწვეულათ, უსაყვედუროთ მიეცი შენი თავი მის ნებაზე.

ბოროტისთვის შურის ძიება უმატებს ბოროტებას, ცეცხლში ნავთს ასხამს, შურის ალს უბერავს. სიმშვიდე და არა შურიანობა იარაღს დააყრევინებს მტერს, დააცხრობს გულის წყრომას, შეარცხვენს მოუხეშავ ძალმომრეობას.

თქვენ გაგიგონიათ, გიყვარდეს მოყვასი შენი და გძულდეს მტერი. მე კი გეტყვი თქვენ: გიყვარდესთ ყველა ადამიანები და გძულდეთ მხოლოთ იმათი ავი საქმეები. სდევნეთ შურიანობა, მოსპეთ ორპირობა, დაამსხვრიეთ, როგორც ჯოჯოხეთისაგან წარმოშობილი, ძალმომრეობა და ფარისევლობა და შეიბრალეთ ისინი ვინც ყველა ამას ემსახურება. მდევნელნი უფრო უბედურნი არიან, ვინემ დევნულნი: იმისთვის სასუფეველი ღვთისა უკვე მიუწდომელი გამხდარა, გაღვარძლიანდა იმათი გული, გონება გაუსასტიკდათ და არ იციან რას შვრებიან. ილოცეთ იმათთვის და კეთილი უყავთ იმათ, ვისაც თქვენ სძულხართ.

გახსოვდეთ, რომ ცხოვრებაში, როგორც საერთო საუნჯეში, უკვლოდ არ იკარგება ადამიანის არც ერთი საქმე, არც ერთი სიტყვა. არც ერთი აზრი და არც ერთი გულის მოძრაობა. ყველაფერი სტოვებს თავის კვალს, ყველაფერს ან კარგათ ან ავათ გავლენა აქვს ცხოვრების ხასიათზე. ამიტომ ნუ უღალატებთ ზნეობრივ კანონს „როგორც დიდში ისე ცოტაშიაც. ყოველგან და ყოველისათვის „პირველათ ეძიებდეთ სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა". ასეთია მოკლეთ რომ ვთქვათ, ქრისტეს კანონმდებლობითი საქმე. ის თუ არ შევა ადამიანის სულსა და ხორცსში, არ გამოცვლის მის სულიერ ბუნებას არ გახდება მისი ცხოვრების სულიერ ძალათ და ეს ძალა არ ამოხეთქავს წყაროსავით, იმისთვის ღვთის სასუფეველი არ დამყარდება. ღვთის სასუფეველისთვის უფრო დიდ მოპოვებას შეადგენს ერთი მონანული მეზვერე, ერთი მეძავი ქალი, რომელიც ცრემლებით ბანს ქრისტეს ფეხებს, ვინემ ოთხმოცდა ცხრამეტი დიდებულათ დამშვიდებულნი, ამაყნი მართალნი, რომელთაც გონიათ, რომ მათ მიაღწიეს კეთილ მწვერვალს. იმათში ცხოვრების ჩქეფა შეჩერებულია; ისინი მოკვდენ და კიდევაც გაიხრწნენ, მეზვერესა და ცოდვილ ქალში კი დიდხანს შეკავებული ბიწიერ ვნებათა და ლტოლვილებათა გროვის დაზავებით, სამარადისო ცხოვრების წყარო ქრისტეს ხელის შეხებით თავისუფლათ გამოდინდა, გადაიქცა დიდ ნიაღვრათ, წალეკა დიდ ხნობით მოგროვებული სულიერი სიბინძურე და თავის ბრძოლის ჩანჩქარში გამოხატა სახარების ცხოვრების მთელი სინარნარე, სიმშვენიერე და თანდათან, რაც ქვევით მიექანება, უფრო ღრმად და მჭიდროთ უდებს სათავეს წინანდელი ავაზაკის და მეძავის გულში.

სახარება ძლიერ ძუნწია სიტყვებზე ისეთ წვრილმანების შესახებ, რაც არ ეხება პირდაპირ ქრისტეს საქმეს, მაგრამ მოკლე მოთხრობა მეზვერის მოქცევასა და მეძავი ქალის მიტევებაზე საკმაოა, რომ ნათლათ წარმოვიდგინოთ იმათში მომხთარი სულიერი გარდაქმნის აქტი. მოვიგონოთ იგავი მეზვერესა და ფარისეველზე. ტაძარში შევიდენ ორი კაცი ლოცვად: ერთი იყო ფარისეველი და მეორე კი მეზვერე. ფარისეველი პატივცემული მუდმივი მოსიარულე ტაძარში. იმისთვის აქ ყველაფერი ნაცნობია და იმასაც ყველანი იცნობენ. მიდის ის ზევით თავ აწეული დიდებულათ, დინჯი ნაბიჯით, მის წინაშე ჩამომდგარ მლოცველთა შორის და დგება მაღლებულ ადგილის, პირველ ალაგზე. იმის ქველობის კეთილნი საქმენი, როგორც თითონ, ყველას წინ უდგიათ. ის ტაძარშიც, ლოცვაშიაც მარხულობასა და კეთილ საქმეთა ქმნაშიაც ყოველთვის და ყოველგან წინაა. ამას ის კარგათ გრძნობს და ღრმა კმაყოფილებით ამბობს: „ღმერთო გმადლობ შენ, რამეთუ მე არა ვარ, როგორც სხვები, როგორც ის, აი, მეზვერე, კარიბჭეში მდგომი".

აქ მიზანი მიღწეულია, სუსტი ზნეობრივ-

სარწმუნოებრივი იდეალი განხორციელებულია, ამაზე ზევით წასვლა არ შეიძლება. დარჩენია, გაყინულ უმოძრაობაში თავისთავს ამაყათ ელეროს. ის ვინც სთქვა თავის თავზე: „მე ვარ ცხოვრება", ფარისეველში თავის ცხოვრებას ვერ იპოვის. ფარისეველი ღვთის სასუფევლისთვის არ შობილა. სხვა საქმეა მეზვერე. ის უეჭველით ბიწიერი კაცია. იმის ცხოვრება აღსავსეა მძიმე დანაშაულობით. ის ყველას ეზიზღება და თითონაც დიდათ არ აფასებს თავის თავს. რაღაც შემთხვევისა, თუ ჩვეულების გამო ის სხვებთან ერთათ შევიდა დღეს ტაძარში. დიდი ხანია არ ყოფილა აქ. თვალი მიავლ მოავლო ტაძრის გუმბათებსა და კედლებს, შორს წასვლა ვერ გაბედა და იქვე შესავალთან გაჩერდა. ამ დიდი ხნის უნახავი წმინდა კედლების სანახაობით იმას მოუგროვდა მრავალი ძველი მოგონებანი. გაახსენდა იმას, თუ როგორ ბავშობისას დადიოდა აქ დღესასწაულზე, აქ პირველად ასწავლა დედამ ლოცვისთვის ხელის გაკეთება, მაშინ იმას უყვარდა ხალხის გროვასთან შეერთება ისრაელების ლოცვის აღვლენაში და ღვთისადმი ლმობიერ ფსალმუნთა გალობაში. როგორ მკაფიოდ გაისმოდა იმის ბავშური ხმა, რამდენი სულის სიწმინდე, აღტაცებული სიყვარული ღვთისადმი იხატებოდა თვითეულ იმის ხმაში. როგორი გულის ფანცქალით ისმენდა ის წინასწარმეტყველების ცეცხლებრივ სიტყვებს, როგორ ილია, ისაია და იერემიასთან ერთად სწყრებოდა ულვთოთა ბიწიერებაზე, და როგორ უნდოდა იმათსავით ემსახურე მიელოვესთვის! რა დაემართა ყველა ამას? მწყობრივად მიდის მის ხსოვნაში წლები წლებთან და, რაც უფრო შორს მიდის დრო, იმდენათ უფრო ბნელდება მის გულში. დაავიწყდა იმას დედის სიტყვებიც, ტაძარიც და ლოცვაც, დაივიწყა სინიდისიც და ბავშური ოცნებანიც. თითქოს ფოთლები ქარიან დღეში არეკილი, მის ხსოვნაში ისე აირია ძველი ხსოვნა, მძიმე ლოდივით დააწვა მას და დაუღუნვია თავი. შეინძრა დაყალიბებული გული,

„მოაგონდა მას ძალები
შერცხვენილად დაღუპული,
შეებრძოლა სიყრმე თვისი
უნაყოფოდ მსწრაფლ წასული"

თვალებზე მოადგა და გადმოცვინდა ცხარე ცრემლები და შეუპოვარ ნიაღვარივით, კოკისპირულ წვიმის მსგავსად გამოაცოცხლა მეზვერის ტანჯული სული. გაქრა იმაში ადამიანისადმი შური და მტრობა, განიბანა ცრემლებით სულიერი ტალახი, განათლდა, გარდიბადა იმის ბიწიერი გული. შემოვიდა ტაძარში მეზვერე დიდ ცოდვილად, გამოვიდა კი იქიდგან ღვთის სასუფევლის შვილად. „ამინ, ამინ გეტყვი შენ—ასწავლის სახარება, თუ არ მოიქცევით და არ შეინანებთ, როგორც მეზვერე, ვერ შეხვალთ ღვთის სასუფეველში".

მაშასადამე, დედამიწაზე ღვთის სასუფევლის დამყარება, ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესობა შეიძლება მხოლოდ ადამიანის სულიერ გარდაბადებით. ცალკე პიროვნებათა ქრისტეს სულით გაუმსჭვალველად არ შეიძლება საზოგადოების განახლება და არც რაიმე პროგრესი არის საფიქრებელი. სასუფეველი ღვთისა,—ამბობს დამფუძნებელი,—მსგავს არს ცომისა, რომელი მოიღო დედაკაცმა და შეურია იგი ფქვილსა სამსა საწყაულსა ვიდრემდე აღაფუვნა იგი ყოვლად". (მათ. 13 თ. 33 მ.) და ოდეს მოიწოის სასუფეველი ღმრთისა? არა მოვიდეს სასუფეველი ღმრთისა ზმნით; არცა სთქვან: აჰა აქა, ანუ იქი; და აჰა ეგერა სასუფეველი ღმრთისა შორის თქვენსა არს" (ლუკ. 17 თ. 20—21 მ.). ამნაირად ღვთის სასუფევლის ისტორია, არის ადამიანის სულის ისტორია. ის იბადება ჩვენი გულის სიღრმეში და თავდაპირველად ჩვენშივე უნდა განმტკიცდეს. ღვთის სასუფევლის დამყარების საქმეში გარეგან პირობებს მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. იმის აღმოცენება და ზრდის წარმატება დამოკიდებულია პირველათ ყოვლისა ადამიანის შინაგან თვისებათაგან.

როგორც სულიერი საშვალება, საჭიროა რამოდენიმე ზნეობრივი მომზადება. „ვერვის ხელეწიფების მოსვლად ჩემდა, ამბობს ქრისტე, უკეთუ არა მამამან, მომავლინებელმა ჩემმან, მოიყვანოს იგი ჩემდა, (იოან. 6 თ. 44 მ.) თვით თუ იმას არა აქვს მაინც გაურკვეველი

ლტოლვილება მამისადმი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ თუმცა ზოგიერთებს ქონდა ჭეშმარიტების მიღებისათვის გარეგანი მოხერხებული პირობები, მაგრამ მაინც არ იწამეს ის, პირიქით ზოგნი თუმცა უფრო ცუდ და უხერხულ პირობებში იმყოფებიან და არც რაიმე თვალსაჩინო საბაბი აქვთ მისთვის, მაგრამ მთლად ეძლევიან იმით გატაცებას. იგავი მთესველისა და თესლზე ძლიერ კარგი დასურათება არის ამისთვის. (მათ. 13 თ. 3—8). მთესველი ფართოთ ხელის გაქნევით ყრის თესლს მინდორზე, თესლი ერთნაირი იყო, მაგრამ ნაყოფი სხვადასხვა მოიღო. გზატკეცილზე დავარდნილი თესლი მიწაში ვერ ჩავიდა და ჩქარა ფეხით გასრისეს; ქვიან ადგილზე გახმა; ეკალში დაჭკნა, მხოლოდ მეოთხე თესლმა, რომელიც კარგ ნიადაგზე დავარდა, მოიტანა უხვი ნაყოფი. წარმატების მიზეზი თესლში კი არა, ნიადაგშია. ასე არის ღვთის სასუფეველისა და თესლისათვისაც, ერთხელ დათესილი სამყაროში არ გაჰქრება; ჩვენ შეიძლება იმის ზრდას ვერც კი ვამჩნევთ, ჩვენ, წუთის მონებს საქმე, რომელიც საუკუნოებით სრულდება, გვეგონება შეჩერებული, მაგრამ ის იზრდება. „ესრედ არის სასუფეველი ღმრთისა, ვითარცა იგი კაცმან დასთესოს თესლი ქვეყანასა და დაიძინოს, და აღსდგეს ღამე და დღე თესლი იგი აღმოცენდის და განღორძინდებიან, ვითარ იგი მათ არ უწყინ. რამეთუ თვისით თავით ქვეყანა ნაყოფსა გამოიღებს. პირველად თესლი, მერმე თავი, მაშინღა სავსე იფქლი თავსა მასა შინა“. (მარკ. 4 თ 26—28 მ.). თესლი აღსავსეა სიცოცხლის წვენით, ის იპყრობს თავისთავში დიდ ძალას, პატარა მარცვალში არის ხის ცხოვრების ჩარხი, თუ თესლმა იპოვა შესაფერი ნიადაგი, მაშინ მის მეოხებით შენდება მთელი ჩრდილოანი წალკოტი. ასე ხდება ღვთის სასუფეველის სიტყვებზედაც. სასუფეველი ღვთისა, ვითარცა მდოგვისა მარცვალი, რომელიც დათესის ქვეყანასა, რამეთუ უმცირეს არს იგი ყოველთა თესლთა, რომელნი არიან ქვეყანასა ზედა. და ოდეს დათესვის და აღმოსდის და იქნას იგი უფროს ყოველთა მხალთა და გამოისხნის რტონი დიდ-დიდნი, ვითარმედ შესაძლებელ არიანცა საგრილსა მისსა მფრინველთა ცისათა დადგრომად (მარკ. თავ 4 თ. 30 მ.) რამდენიმე ათეულ წლის წინეთ ეგვიპტის ერთ პირამიდაში იპოვნეს ფარაონის მუმია. იმ შენობაში, სადაც განისვენებდა ნეშტი ნიკოსის ოდესმე ძლიერი ბატონისა, აღმოჩნდა ძველი ეგვიპტის ავეჯეულობის ბევრი ნივთები და სხვათა შორის ჭურჭელი ხორბლის მარცვლით. იქვე ნაპოვნ პაპირუსის გრაგნილში იყო აღნიშნული, რომ ეს ხორბალი იყო პირამიდაში სამიათას წელზე მეტი. როდესაც ის დათესეს მოიტანა მშვენიერი მოსავალი. ღვთის სასუფეველის თესლი, ჭეშმარიტების თესლი, გამხნევებელი სიტყვა კეთილისადმი მოწოდებისა ინახავს თავისში არა ნაკლებს, არამედ მეტს სიცოცხლის ნიშან-წყალს. გულით მიღებული ის, ადრე თუ გვიან მოიტანს მდიდად ნაყოფს. მთელი კითხვა იმაშია, შეუძლია გულს მიიღოს ეს მარცვალი თუ არა? ადამიანის შინაგანი ქვეყანა, იმის ლტოლვილება, წარმოადგენს მოხერხებულ ნიადაგს ქრისტეს თესლის გაზრდისათვის? თუ არა, მაშინ ეს ნიადაგი უნდა შევქნათ, გამვლელთა ფეხებით გატკეცილი გზა სახნისით და ფარცხით უნდა ავთხაროთ და გავარბილოთ; ქვიან ადგილებზე მსუქანი მიწა უნდა დავაყარით, ეკლისა და ცუდი ბალახებიდამ უნდა გავწმინდოთ მიგდებული და დაუმუშავებელი ადგილი. ყველას, ვისაც ცნობიერათ სურს ღვთის სასუფეველის დამყარება, მოვალეობას შეადგენს განუწყვეტლად სიტყვით და საქმით უჩიჩინოს იმათ, ვინც გულ-გრილათ უყურებს იმის დამყარებას, მსგავსად იოანე ქრისტეს წინამორბედისა „განმზადენით გზანი უფლისანი, დაწრფელ ჰყენით ალაგნი მისნი“. (ლუკ. 3 4 მ.) მართალია არიან ღვთის სასუფეველისათვის მოუბრუნებლად დაკარგულნი. იმათთვის მიუწდომელია ნათელი იდეალისა და მაღალ აღტყინებათა ქვეყანა. იმათი სული მთლად შებოჭილია დაბალ მიდრეკილებათა სიწამხდრით და მოუხეშობით. თვით იესო ქრისტე ამბობს იმათზე: „ნუ მისცემთ სიწმინდეთა ძაღლთა, ნურცა დაუფენთ მარგარიტსა თქვენსა

წინაშე ღორთა“ (მათ. 7 თ. 6 მ.). რაკი დარწმუნდით, რომ ადამიანი ყრუა ყოველივე მოწოდებისადმი და არაფერი ზნეობრივი გავლენა იმაზე არ მოქმედობს, ნუ კარგავთ იმაზე ამაოდ თქვენს ენტუზიაზმ, თქვენი სულის სიცხოველე მიაპყარით მეორე უფრო მადლიერ მიზანს. მაგრამ ასეთ ზნეობრივი მახინჯებს ძლიერ ცოტაა, ისინი არ შეადგენენ ჩვეულებრივ მოვლენას კაცობრიობაში, არამედ წარმოადგენენ სამწუხარო გამონაკლისს, როგორც გამონაკლისს შეადგენენ მკელობლები ჭ სულელები. ჩვეულებრივად კი ადამიანები ყოველთვის ადამიანებია და ყოველიფერი ადამიანური იმათთვის უცხო არ არის. ხანდახან ვხედავთ იმათში დაბალ ბუნების სიწამხდრეს, და მოოხეშაობას, სამაგიეროდ დროთი დროზე გამოიჩენენ ხოლმე არა ჩვეულებრივ სულის სიდიადეს. ტყვილათ კი არ უწოდებდა პასკალი ადამიანს სამყაროს სიამაყეს და სისაძაგლეს. ხდება ხოლმე რომ უკიდურეს ბოროტ-მოქმედთა და ზნედაცემულთა ცხოვრება წუთობით გამობრწყინდება ისეთი ზნეობრივი სიმშვენიერით, რომ არ შეიძლება იმის წინაშე თავი არ მოიხარო და სერიოზულად არ დაფიქრდე იმაზე. როგორც ვულკანების ამონახეთქები გვიმხილებენ სამეაროს შინაგან საიდუმლოებას, სწორეთ ისე კეთილშობილი აღტყინების შემთხვევით და გამორიცხვით აღგზნება გვეუბნება ადამიანის სულის ქვეყანაში სიყვარულის და სიკეთის ძალის იდუმალ არსებობას. საჭიროა მხოლოდ ვიცოდეთ და გვსურდეს იმათი ნიცოცხლისადმი გამოწვევა და სივრცის მიცემა. ჩვენ ვიცით, რომ „ნაგავის ქექის დროს მამალმა მარგალიტი იპოვა“. ადამიანის გულში კი უფრო ძვირფას სანახავს ვიპოვნით ხოლმე.

სახარებას ცხადათ აქვს განმარტებული, თუ როგორ უნდა იმოქმედო ადამიანზე ღვთის სასუფეველისადმი მოსაქცევად: „ხოლო უკეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, მიეედ და ამხილე მას, რაჟამს შენ და იგი იყვნეთ ხოლო მარტონი, უკეთუ არა ისმინოს, მოიყვანე შენთან ერთი და ორი სხვა, რათა პირითა ორისა და სამის მოწმისათა დაემტკიცოს ყოველი სიტყვა. ხოლო უკეთუ მათიცა არა ისმინოს უთხარ კრებულსა, უკეთუ კრებულისაცა არა ისმინოს იყავნ იგი შენდა, ვითარცა მეზვერე და წარმართი“. (მათ. 18 თ. 15—17 მ.).

ე. ჩ—ძე.

(შემდეგი იქნება).

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მჯედლიძე.

გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

განცხადებანი.

ვამზადებ სამღვდელო და სადიაკვნო საგნებში,

აგრეთვე სამასწავლებლო ეკზამენის ასაღებად.

ადრესი: ქუთაისი, კაზაკოვის ქუჩა, № 17.

ქ. ქუთაისში კაზაკოვის ქუჩაზე სახ. № 17 გაიხსნა პირველი ქალთა ოთხკლასიანი

პროგიმნაზია

სახელოსნო განყოფილებით,

სადაც საპროგიმნაზიო საგნებს გარდა ასწავლიან ჭრა-კერვას, ხალების, ფარდაგების, ჩულქების, ტილოების და მიტკლების ქსოვას, ბაშმაკების კერვას და სხ. წლიური გადასახადი პროგიმნაზიაში 30 მან., სახელოსნო განყოფილებაში 40 მ.

პროგიმნაზიულ კლასებში მოსწავლე ქალები კურსის დამთავრებასთანვე ათავებენ სახელოსნო განყოფილებასაც.

სასწავლებელმა უკვე დაიწყო მოწაფეების მიღება როგორც პროგიმნაზიულ კლასებში, ისე სახელოსნო განყოფილებაშიდაც.

Типографія Кутаисскаго религіозно-просвѣтительнаго «братства». Тифлисская, домъ Кирищева